F 171
1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებული

## 2

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИИ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

თებერვალი

თბილისი 1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 30 დეკემბრის ბრძანება № 1066

### ადიგენის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, დმანისის, მარნეულის, თეთრიწყაროს, ხაშურისა და წალკის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელების მდგომარეობის შესახებ

საკითხის ადგილებზე შესწავლით და განათლების სამინისტროში არსებული მასალების გაანალიზებით გამოირკვა, რომ ზემოთ აღნიშნული რაიონების განათლების განყოფილებების მიერ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით გარკვეული დადებითი მუშაობაა ჩატარებული საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განსახორციელებლად.

შესრულდა მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო-მეურნეობის გეგმა; გაიზარდა სასკოლო ინტერნატების, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების რაოდენობა და მათში გაერთიანებულ მოსწავლეთა რიცხვი; წინა წლებთან შედარებით შემცირდა მეორეწლიანთა რაოდენობა; უფრო მეტი ყურადღება ექცევა სასწავლო კაბინეტების აღჭურვას თვალსაჩინოებებითა და ტექნიკური საშუალებებით, კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით სკოლების უზრუნველყოფას და სხვ.

მაგრამ, მიუხედავად ზემოხსენებულისა, ადიგენის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, თეთრი წყაროს, ხაშურისა და წალკის განათლების განყოფილებებს (ამხ. ამხ. პ. მერაბიშვილს, კ. ხარშილაძეს, შ. კვაჭაძეს, ი. ვლასოვს, მ. თაბაგარს, ლ. ჯინჯიხაძეს, ი. გეიდაროვს, ბ. მიქაძეს, შ. ლაბაძეს) საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელების საქმეში ჯერ კიდევ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები. მაგალითად: რიგ რაიონებში ვერ შესრულდა მოსწავლეთა კონტინგენტის

სახალხო-სამეურნეო გეგმა. ადიგენის რაიონში გეგმა შესრულებულია 99, 4%-ით, ბოლნისის რაიონში 8 ბავშვი არ არის სწავლებაში ჩაბმული. ზოგიერთ რაიონში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა შესრულდა სალამოს სკოლების ხაზით.

არასაკმაო მუშაობა ტარდება წინა წლებში სკოლას ჩამოშორებული ბავშვების სწავლებაში ჩასაბმელად. ადიგენის რაიონში სკოლას დაუბრუნდა მხოლოდ 5 მოსწავლე, მარნეულში—19, წალკაში—22 ბავშვი და ა. შ.

დიდია სკოლებში მოსწავლეთა მოძრაობა და განთესვა:

ადიგენის რაიონის სკოლებიდან ავადმყოფობის მიზეზით გავიდა 8 მოსწავლე;

ახალციხის რაიონის სკოლებიდან გავიდა ავადმყოფობით—6, ხოლო გათხოვდა 7 ბავშვი;

ბოგდანოვკის რაიონის ცენტრის სომხური საშუალო სკოლიდან (დირექტორი ი. პოღოსიანი) გავიდა 14, მათგან IV—VIII კლასებიდან 4 მოსწავლე, გორელოვკის (დირექტორი ა. ვართაპეტიანი)—4, ეშტიის № 2 (დირ. ნ. სიმონიანი)—6, სათხის (დირ. პ. ვოსკანიანი)—16; რაიონის სკოლებიდან წავიდა სამუშაოდ და არ სწავლობს—4; ავადმყოფობით გავიდა—4, მათ შორის: 1 პირველკლასელი, 2—IV—VIII კლასებიდან;

ბოლნისის რაიონის სკოლებიდან წავიდა პროფსასწავლებელში, რომელიც არ იძლევა საშუალო განათლებას—4, გაირიცხა—1, გავიდა სკოლიდან, მუშაობს და არსად არ სწავლობს—IV—VIII კლასებიდან—5, ავადმყოფობით—9, განთესილია—7. ბოლნისის აზერბაიჯანული სკოლიდან (დირექტორი გ. ახმედოვა) ავადმყოფობით გასულია—2, უმიზეზოდ—7, ძველი ქვეშის (დირ. ს. გასანოვი) 5 მოსწავლე გასულია გაურკვეველი მიზეზით, მუღანლოს სკოლიდან 4 წავიდა სამუშაოდ, იკაურთის სკოლიდან (დირექტორი კ. ხალილოვი) 3 გაურკვეველი მიზეზითაა გასული;

დმანისის რაიონიდან წავიდა სამუშაოდ 14, ისინი არსად არ სწავლობენ, მათ შორის 6—IV—VIII კლასებიდან; ავადმყოფობით—22, მათ შორის ირგანჩაის (დირექტ. ი. მუსაევი) სკოლიდან—3; გათხოვდა—5; სიშორის გამო საფარლოს საშუალო სკოლიდან (დირექტორი მ. ვალიევი) სკოლას ჩამოშორდა 2 მოსწავლე, ამ სკოლიდან კიდევ ორი გავიდა გაურკვეველი მიზეზით. რაიონის სკოლებიდან გაირიცხა—4, მათ შორის I—III კლასებიდან—1. მთისძირის რუსული რვაწლიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლიდან (ა. ალეპოვი) გაირიცხა—2, ავადმყოფობით გავიდა—2, განითესა—1.

მარნეულის რაიონიდან წავიდა სამუშაოდ და არ სწავლობს—29, მათ შორის IV—VIII კლასებიდან 6 მოსწავლე; ავადმყოფობით სკოლებიდან გავიდა 36 მოსწავლე, მათ შორის ამამედლოს სკოლიდან (დირ. ი. ბადალოვი)—5, ყიზილაჯილოს რვაწლიანი—3, სიშორის გამო—6, მათ შორის ახკერპის (დირ. გ. კარაპეტიანი)—1, ყიზილაჯილოს (დირ. ა. გოჯაევი) სკოლიდან—2, მარნეულის აზერბაიჯანული რვაწლიანი სკოლიდან (დირ. ნ. რაგიმოვი)—3;

თეთრიწყაროს რაიონიდან წავიდა პროფსასწავლებელში, რომელიც არ იძლევა საშუალო განათლებას—53; მათ შორის თეთრიწყაროს რუსული სკოლიდან (დირექტორი მ. სევასტოვი)—25, მანგლისის ქართული სკოლიდან (დირ. ს. თეთრაძე)—9; მუშაობს და არსად არ სწავლობს—39, წინწყაროს რუსული სკოლიდან (დირ. მ. სტაფილოვი)—15; IV—VIII კლასის 3 მოსწავლე გავიდა ოჯახური პირობების გამო, ავადმყოფობით—19; გარიცხულია—2; გათხოვდა—2, განიდევნა—1 .

ხაშურის რაიონიდან წავიდა პროფსასწავლებელში, რომელიც არ იძლევა საშუალო განათლებას—8, გაირიცხა—3, გავიდა ავადმყოფობით—24, სიშორის გამო—1, გათხოვდა—3;

წალკის რაიონიდან პროფსასწავლებელში, რომელიც არ იძლევა საშუალო განათლებას—103, მათ შორის ტრაკკილისის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ი. კოსტანოვი)—14, კიზილ კილისის (დირ. ა. ვოსკანიანი)—14, ბაშკოვის (დირ. გ. ყარაგიოზოვი)—5; მუშაობს და არსად არ სწავლობს—35, ავადმყოფობის მიზეზით გავიდა 10, გათხოვდა—5, გაირიცხა—2.

შემოწმებულ რაიონებში სათანადო ყურადღება არ ექცევა 16—29 წლის ასაკის რვაწლიანი და საშუალო განათლების არ მქონე მუშა ახალგაზრდების სწავლებაში ჩაბმას. ახალციხის რაიონის 16—29 წლის ასაკის მქონე 360 ახალგაზრდიდან სწავლებაში ჩაბმულია მხოლოდ 258, ბოლნისის 980-დან—540, ხაშურის 682-დან—225 და ა. შ.

სკოლებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებას. ხშირია შემთხვევები, როდესაც 1-ელ კლასში ჩარიცხული მოსწავლეები დროულად ვერ ამთავრებენ 8 ან 10 კლასს. ადიგენის რაიონში 1966—67 სასწავლო წელს 1-ელ კლასში ჩარიცხულთაგან ამჟამად X კლასში სწავლობს მხოლოდ მოსწავლეთა

65,8%, ახალციხის—66,3%, ბოლნისის—62,6%, დმანისის—61,4%, მარნეულის—61%, თეთრი წყაროს—59%, წალკის რაიონში—66,1%.

1968—69 სასწავლო წელს 1-ელ კლასში ჩარიცხულთაგან ბოლომდე VIII კლასში სწავლობს: ახალციხის რაიონში—88,5%, თეთრი წყაროს—88,4%, წალკის—84% და ა. შ.

რაიონების სახალხო განათლების განყოფილებების, სკოლების დირექტორებისა და პედაგოგიური კოლექტივების მხრივ ნაკლები ყურადღება ექცევა 8 კლასდამთავრებულთა სწავლებაში ჩაბმისა და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის საქმეს.

1974—75 სასწავლო წელს ახალციხის რაიონში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 709 კურსდამთავრებულიდან დღემდე დაუსაქმებელია 221 ახალგაზრდა, ხაშურის—259-დან—236, წალკის—1221-დან—106 და სხვ.

დღემდე ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა მოსწავლეთა მაღალი აკადემიური წარმატებისათვის ბრძოლას. სკოლებში არ ტარდება სისტემატურად დამატებითი მეცადინეობანი, რის გამო დიდია შემოწმებულ რაიონებში მეორეწლიანთა რაოდენობა. 1974—75 სასწავლო წელს ადიგენის რაიონის იმავე კლასში დატოვებულ იქნა 67 მოსწავლე, ახალციხეში—210, ბოგდანოვკაში—345, ბოლნისში—293, დმანისში—94, მარნეულში—358, ხაშურში—116, წალკაში—211, თეთრ წყაროში—222, ე. ი, სულ 1699 მოსწავლე, მათ შორის I—III კლასებში—374.

სერიოზული ნაკლოვანებანი აღინიშნება 6—15 წლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ არსებული 1959 წლის 15 ივლისის № 579 ინსტრუქციის შესრულების საქმეში.

გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი ჩაბმული არ არის სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში. ასე მაგალითად, ადიგენის რაიონში სპეციალურ სასწავლებელში ჩაბმულია 5-დან—1, ბოლნისში 14-დან—5, ხაშურში—29-დან—16, წალკაში კი 28 ბავშვია ჩაბმული.

საშუალო განათლების ორგანოებმა და სკოლის მუშაკებმა ვერ შეძლეს აღმოეფხვრათ არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევათა და დანაშაულის ჩადენის შემთხვევები. მიმდინარე წლის 9 თვე-

ში დიდი რაოდენობითაა ჩადენილი დანაშაული მარნეულის, თეთრი წყაროსა და ხაშურის რაიონებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდია ცვლებში მომეცადინე მოსწავლეთა რაოდენობა. მეორე ცვლაში მეცადინეობს: ადიგენის რაიონში—463 მოსწავლე, ახალციხეში—2933, ბოგდანოვკაში—4201, ბოლნისში—6704, დმანისში—5866, მარნეულში—10828, მესამე ცვლაში თეთრი წყაროში—1029, ხაშურში—1607, წალკაში—5005.

აღნიშნულ რაიონებში სასკოლო ინტერნატების ქსელი და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს. მათში არ არის შექმნილი ცხოვრებისათვის საჭირო პირობები. ბევრგან ინტერნატები და ჯგუფების მოსწავლეები არ მარაგდებიან ცხელი კერძებით. ადიგენის რაიონში აშენებულია 1 სასკოლო ინტერნატი, რომელიც ოქტომბრის თვეში ჯერ კიდევ არ მუშაობდა ინვენტარის უქონლობის გამო. დმანისის რაიონში 7-დან 6 ინტერნატს არა აქვს მინიმალური პირობები; მარნეულის რაიონის 4 ინტერნატი დაქირავებულ შენობაშია მოთავსებული; თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის სკოლა-ინტერნატი გათვალისწინებულია 60 მოსწავლეზე. ფაქტიურად მასში ცხოვრობს 104 აღსაზრდელი. არც ერთი სასკოლო ინტერნატი არ არის ბოლნისისა და ხაშურის რაიონებში.

თეთრი წყაროს რაიონის გახანგრძლივებული დღის 14 ჯგუფში არ არის ორგანიზებული კვება და ბავშვები სადილად სახლში დადიან, არც ერთი გახანგრძლივებული დღის ჯგუფი არ არის გახსნილი ბოგდანოვკისა და ახალციხის რაიონში.

ზემოხსენებულ რაიონებში სუსტად სრულდება მთავრობის დადგენილება მოსწავლეთა უფასო გადაყვანის შესახებ. ადიგენის რაიონში სკოლიდან 3 და მეტ კმ. დაშორებით ცხოვრობს 443 მოსწავლე, მათგან ორგანიზებულად გადაჰყავთ ტრანსპორტით მხოლოდ 280. ბოგდანოვკის—847-დან—198, ბოლნისის 253-დან არც ერთის გადაყვანა არ არის ორგანიზებული, ახალციხის 369-დან არცერთის, დმანისის 251-დან არცერთის, მარნეულის 387-დან—მხოლოდ 65-ის, თეთრი წყაროს 367-დან მხოლოდ 80, წალკის—434 მოგვარებულია მხოლოდ 115 ბავშვის გადაყვანა.

მთელი რიგი რაიონების საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდი არ არის სრულად ათვისებული. ბოლნისის რაიონში 2000 მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 500 მანეთი და ა. შ.

სკოლები უზრუნველყოფილი არ არის კვალიფიციური პედაგო-

გიური კადრებით. ახალქალაქის რაიონს არ ჰყავს კვალიფიციური პედაგოგიური კადრი რიგ საგნებში, რაც აძნელებს საყოველთაო სწავლების განხორციელებას. ბოლნისის რაიონის სკოლებში მუშაობად დანიშნულია დაუსწრებელი სწავლების II და III კურსის სტუდენტები; დმანისში მასწავლებლების 38,2% საშუალო განათლება აქვს.

ზოგ სკოლაში საჭირო ყურადღება არ ექცევა სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებას. ბოლნისის რაიონის სკოლებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ გასულ მოსწავლეზე დასტური, ხაშურის № 2, სურამის № 1 სკოლების ალფაბეტურ წიგნებში მოსწავლეთა მოძრაობის აღმნიშვნელი გრაფები არ არის შევსებული სწორად და დროულად.

სკოლებში საკმაო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ზს ფორმის სწორად შევსებას: ხშირად არ არის გარკვეული, თუ სად და რა მიზეზით გადავიდა ბავშვი; ამ ფორმაზე, ზოგჯერ, არ არის სათანადო ხელმძღვანელი პირის ხელმოწერა.

ადიგენის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, დმანისის, მარნეულის, თეთრი წყაროს, ხაშურისა და წალკის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ადიგენის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკისა და ხაშურის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. პ. მერაბიშვილმა, კ. ხარშილაძემ, შ. კვაჭაძემ, ი. ვლასოვმა, მ. თაბაგარმა, ლ. ჯინჯიხაძემ, მ. გეიდაროვმა, ბ. მიქაძემ, შ. ლაბაძემ):

—განახორციელონ მათთვის შესაძლებელი ყველა ღონისძიება სკოლების სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად, რითაც გააუმჯობესონ სკოლის მუშაობის პირობები საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების უზრუნველყოფის საქმეში;

—დაძლიონ მოსწავლეთა უმიზეზოდ სკოლიდან გასვლა. მკაცრი პასუხი მოსთხოვონ იმ სკოლების დირექტორებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით რვაკლასის დაუმთავრებლად მოსწავლეებს აგზავნიან საერთო ტიპის პროფტექსასწავლებლებში;

საჭიროების მიხედვით გახსნან სასკოლო ინტერნატებისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ქსელი და გაზარდონ მათში ჩაბმულ მოსწავლეთა რაოდენობა;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქმედითი ზომები მიიღონ მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ამაღლებისათვის. ამ მიზნით მკვეთრად გააძლიერონ მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობა, განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რათა სასწავლო წლის ბოლოსათვის ლიკვიდაცია უყონ მეორეწლიან მოსწავლეთა აკადემიურ ჩამორჩენას;

—ყოველნაირად აამაღლონ სკოლების ხელმძღვანელობისა და პედაგოგიური კოლექტივების პასუხისმგებლობა საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების უზრუნველყოფაში. ბოლო მოუღონ სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვისა და სტატისტიკური ფორმების შევსების საქმისადმი დღემდე ზოგ სკოლასა და განყოფილებაში დამკვიდრებულ არასწორ პრაქტიკას;

მუშაობაში, საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის განსახორციელებლად, აქტიურად ჩააბან მასწავლებელთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი, მოსწავლეთა მშობლები და ფართო საზოგადოებრიობა;

—1976 წლის 30 იანვრამდე სახალხო განათლების საბჭოების სხდომაზე განიხილონ საკითხი საყოველთაო სწავლების საქმეში არსებული ნაკლოვანებების შესახებ, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი მათ სალიკვიდაციოდ.

2. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის განხორციელების საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, მარნეულის რაიონის ყიზილაჯილოს, სადახლოს, აჯკერპის, დმანისის რაიონის საფარლოს, მთისძირის, თეთრიწყაროს რაიონის წინწყაროს, წალკის რაიონის კიზილკილისისა და ტიაკ-კილისის საშუალო სკოლების დირექტორებს: მ. კარაპეტიანს, ა. გოჯაევს, ი. ბადალოვს, ა. ვოსკანიანს, ე. კოსტანოვს, მ. სტაფილოვს, ნ. ლუდუშაურს, ნ. ვალიევს გამოეცხადოთ საყვედური.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ბოგდანოვკის რაიონის ცენტრის სომხური საშუალო სკოლის დირექტორი ი. პოლოსიანი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 28 ნო-

ემბრის დადგენილებით დასჯილია მუშაობაში არსებული სერიოზუ-
ლი ნაკლოვანებების გამო.

4. მარნეულის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს [illegible] გეიდაროვს, საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის განხორციელებაზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის გამო, გამოეცხადოს საყვედური.

5. აღინიშნოს საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელებისადმი ბოლნისის, დმანისის, წალკისა და თეთრი წყაროს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების ამხ. ამხ. ბ. მიქაძის, მ. თარგამაძის, ბ. კვაჭახიძისა და ლ. ჯიხჯიხაძის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა.

6. ადიგენის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, თეთრი წყაროს, ხაშურისა და წალკის განათლების განყოფილებებმა 1976 წლის 1-ელი აპრილისათვის განათლების სამინისტროში წარმოადგინონ დაწვრილებითი მოხსენებითი ბარათები ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ.

7. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

—ყოველ კვარტალში რესპუბლიკის 8—10 ქალაქსა და რაიონში შეამოწმოს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების მდგომარეობის საკითხი და შედეგი წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად;

—საჭირო კონტროლი განახორციელოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 25 დეკემბრის სხდომის დადგენილება.

მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 31 დეკემბრის ბრძანება № 1074

### მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების დარგში საქართველოს სსრ კანონის შესრულების მდგომარეობის შესახებ ლანჩხუთის, სიღნაღისა და ბოლნისის რაიონებში

შემოწმებით დადასტურდა, რომ ლანჩხუთის, სიღნაღისა და ბოლნისის რაიონების განათლების განყოფილებები (გამგეები—ვ. ჩიკაშუა, ელ. დალაქიშვილი, შ. კვაჭაძე), ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებითა და ხელმძღვანელობით, გარკვეულ მუშაობასატარებენ წარმოებაში დასაქმებული რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმის, მათი სწავლა-აღზრდის დონის ამაღლების მიზნით. ლანჩხუთის რაიონში დაზუსტებულია მომუშავე 16—29 წლის ასაკის ახალგაზრდების სიები; მათი სწავლებაში ჩაბმის სახალხო მეურნეობის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. მიმდინარე სასწავლო წელს რაიონის დაუსწრებელ სკოლაში, (დირექტორი რ. ცინცაძე) გეგმით გათვალისწინებული 413 მოსწავლის ნაცვლად, ჩაბმულია 632. მეცხრე ხუთწლედის დავალება შესრულებულია 130,1 პროცენტით.

ბევრგან მჭიდრო კავშირია დამყარებული წარმოება-დაწესებულებებსა და სკოლებს შორის, რის შედეგადაც საწარმოები, დაწესებულებები და კოლმეურნეობები აქტიურად მონაწილეობენ მომუშავე ახალგაზრდების საღამოს სკოლებში ჩაბმისა და ამ სკოლისათვის მუშაობის ნორმალური პირობების შექმნაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ლანჩხუთის ავტოსატრანსპორტო საწარმო, სამოქალაქო თავდაცვის რაიონული საბჭო და სუფსის კულტურის სახლი. ლანჩხუთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით სოფლების: ლესის, ნიგოეთისა და სუფსის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებს მომსახურებას უწევენ ავტობუსები.

ლანჩხუთის სარაიონო დაუსწრებელი სკოლის ხელმძღვანელობა სისტემატურ კონტროლსა და დახმარებას უწევს სასწავლო-საკონ-

სულტაციო პუნქტების მუშაობას. პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე გან-ხილულია ცალკეულ სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში სასწავ-ლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა. განხილულია აგრეთ-ვე მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 24 აპრილის № 334 ბრძა-ნება და მის შესასრულებლად გატარებულია სათანადო ღონისძიებები: ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების მოსაწყობად შეძენი-ლია 1200 მანეთის ხელსაწყო-იარაღები და სხვა თვალსაჩინო მა-სალები.

შესწავლილი სკოლებისა და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქ-ტების მასწავლებელთა ერთი ნაწილი პასუხისმგებლობით ეკიდება თა-ვის საქმეს, გულდასმით ემზადება გაკვეთილისა და კონსულტაციი-სათვის, იცნობს საღამოს სკოლების სპეციფიკას, სწავლობს თითოეუ-ლი მოსწავლის უნარსა და ჩვევებს, მოფიქრებულად აბამს მათ მუშა-ობაში და სათანადო წარმატებებსაც აღწევს. კარგად მუშაობენ მშო-ბლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. ასკეროვა (ბოლ-ნისის რაიონის არაქალის რვაწლიან სკოლასთან არსებული საღამოს კლასები), რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლ. გორ-ბაჩოვა (ბოლნისის საღამოს საშუალო სკოლა), ისტორიის მასწავლებ-ლები: ტ. პატარაია (ლანჩხუთის რაიონის ლესის სასწავლო-საკონ-სულტაციო პუნქტი), ბ. ჯალაშვილი (სიღნაღის რაიონის ხირსის საღა-მოს საშუალო სკოლა), ო. ქოქიაშვილი, გ. ნადაშვილი (ამავე რაიო-ნის ვაქირის საღამოს საშუალო სკოლა), შ. კრაწაშვილი, ლ. ლო-ლუაშვილი (ბოდბის საღამოს საშუალო სკოლა).

მიუხედავად ამისა, შემოწმებული რაიონების სკოლების მუშაო-ბაში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია: ზოგან ირღვევა საღამოს (ცვლი-ან) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების წესები: ბოლნისის დღის საშუალო სკოლასთან არსებულ საღამოს VIII კლასში (დირექტორი მ. მინასიანი) განათლე-ბის საბუთის გარეშე ჩარიცხულია ა. აკოფიანი და ბ. სარაჯიანი, ხო-ლო XI კლასის ზოგიერთ მოსწავლეს არ აქვს განათლების დამადას-ტურებელი სრულყოფილი საბუთები; ზემო გულავერის რვაწლიან სკოლასთან არსებულ საღამოს VIII კლასში (დირექტორი ფ. მეხ-ტიევი) განათლების საბუთის. გარეშე ჩარიცხულია 7 მოსწავლე, ხო-ლო XI კლასში—2 მოსწავლე, ანალოგიური მდგომარეობაა ქვემო გუ-ლავერის რვაწლიან სკოლასთან არსებულ საღამოს კლასებშიც (დი-რექტორი ქ. კარაევი); ბოლნისის საღამოს საშუალო სკოლის (დი-

რექტორი მ. უნგიაძე) VI კლასში, რაისაბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გვერდის ავლით, ჩარიცხულია 3 მოსწავლე. ანალოგიური მდგომარეობაა დარბაზის საღამოს საშუალო სკოლაში (დირექტორი ე. ა. ალახვერდოვი). ქვემო ბოლნისის საღამოს საშუალო სკოლის (დირექტორი ი. ბაქიროვი) IV კლასში ჩარიცხულია 12 მოსწავლე, რომელთა ნაწილი დღის სკოლიდან არის გადმოსული და ასაკით არ შეეფერება საღამოს სკოლას; სიღნაღის რაიონის ბოდბის საღამოს საშუალო სკოლის VII კლასში მოსწავლეები განათლების საბუთის გარეშე არიან ჩარიცხული. მოსწავლე ო. სუხაშვილი 1957—1958 სასწავლო წელს სწავლობდა IV კლასში და გადაყვანილია V კლასში, მისი VI კლასში გადაყვანა არსად არ არის ფიქსირებული, ხოლო 1974 წელს იგი VII კლასში ჩარიცხეს.

მოუწესრიგებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები. ნაწილს აკლია დაბადების მოწმობა, ცნობები სამუშაო ადგილიდან, განათლების საბუთები და სხვ. არ წარმოებს სამუშაო ადგილიდან წარმოდგენილი საბუთების განახლება.

საღამოს სკოლებში კვლავ აქვს ადგილი არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენის ხშირ შემთხვევებს. ბოლნისის რაიონის ქვემო გულავერის რვაწლიან სკოლასთან არსებულ საღამოს კლასებში მიმდინარე წლის 20 ნოემბერს მოსწავლეთა გამოუცხადებლობის გამო მეცადინეობა არ ჩატარდა, ზემო გულავერის რვაწლიან სკოლასთან არსებულ საღამოს IX კლასში 6 ნოემბერს ამავე მიზეზით ჩაიშალა მეცადინეობა. ფახრალოს საღამოს საშუალო სკოლის VII კლასში 13 მოსწავლიდან გაკვეთილს ესწრებოდა 4, VIII კლასში 17-დან —5, IX კლასში 18-დან—5, ხოლო ბოლნისისა და ქვედა ბოლნისის საღამოს საშუალო სკოლებში მეცადინეობას საშუალოდ ესწრება მოსწავლეთა 50 პროცენტი. სიღნაღის რაიონის ხირსის საღამოს საშუალო სკოლის XI კლასში 9 დეკემბერს მეცადინეობას 20 მოსწავლიდან ესწრებოდა 3; ტიბაანის საშუალო სკოლასთან არსებულ საღამოს IX კლასში 8-დან—1, X კლასში 10-დან—1, ხოლო XI კლასში 10-დან 5. ანალოგიური მდგომარეობაა ბოდბის საღამოს საშუალო სკოლაშიც.

საკლასო ჟურნალებში მთელ რიგ საგნებში (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია და სხვ.) სისტემატურად არ ხდება დამუშავებული მასალის შეტანა და მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვა. ჟურნალების მოვლა-პატრონობის საქმეში კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა სიღნაღის რაიონის

ხირსის საღამოს საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. სოზაშვილი), IX კლასის ჟურნალში 15-დან 19 დეკემბრამდე გადასწორებულია მიმდინარე შეფასების ნიშნები, ხოლო რუსული სექტორის X კლასში მოსწავლე მ. ბულეშინის გასწვრივ მთელი კვირის ნიშნები გადასწორებულია ოთხებად. ამავე სკოლის IX და X კლასებში მიმდინარე ნიშნები დაწერილი აღმოჩნდა ისეთ მოსწავლეებზე, რომლებიც მეცადინეობას არ ესწრებოდნენ (მასწავლებლები ჯ. ბეგიაშვილი, ნ. ალექსეევა).

შემოწმებული რაიონების სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად, არ წარმოებს მათი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაცნობა, მოსწავლეებთან არ ტარდება ინდივიდუალური საუბრები, გასულ სასწავლო წელს ბოლნისის საღამოს სკოლებსა და დღის სკოლებთან არსებულ საღამოს კლასებს არასაპატიო მიზეზით ჩამოცილდა 122 მოსწავლე, მათ შორის 33 მოსწავლე იმის გამო, რომ არ ჰქონდათ სწავლისა და შრომის შეთავსებისათვის საჭირო პირობები, ხოლო 98 მოსწავლე—აკადემიური ჩამორჩენილობის გამო. ბოლნისის საღამოს საშუალო სკოლას ჩამოცილდა 34, ქვემო ბოლნისის საღამოს საშუალო სკოლას—27; დარბაზის საღამოს საშუალო სკოლას—20 მოსწავლე. ბოლნისის საღამოს საშუალო სკოლის VII კლასში გასულ წელს სწავლობდა 7 მოსწავლე, მათგან VIII კლასში სწავლას 4 მოსწავლე აგრძელებს.

სიღნაღის რაიონის ტიბაანის საშუალო სკოლასთან არსებული საღამოს VIII კლასი გაუქმდა მოსწავლეთა გამოუცხადებლობის გამო, ხოლო ხირსის საღამოს საშუალო სკოლის VIII—X კლასების მოსწავლეთა სიებიდან მიმდინარე სასწავლო წელს გამოუცხადებლობის გამო ამოღებულია 13 მოსწავლე.

მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნების საქმეში ანალოგიური ნაკლოვანებები აქვს ლანჩხუთის დაუსწრებელ საშუალო სკოლას. უკანასკნელ სამ წელიწადში აკადემიური ჩამორჩენილობის გამო სწავლას ჩამოცილდა 69 მოსწავლე, მათ შორის გასულ სასწავლო წელს—44, ხოლო ოჯახური მდგომარეობის გამო—5 მოსწავლე.

ჯერ კიდევ ყველგან არ არის მჭიდრო კავშირი დამყარებული წარმოებებსა და საღამოს სკოლებს შორის. დაზუსტებული არ არის 16—29 წლის ასაკის მომუშავე ახალგაზრდების სიები. სიღნაღის რაიონის განათლების განყოფილებამ მიმდინარე სასწავლო წელს ვერ შეასრულა მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა. გეგმით გათვალისწინე-

ბული 302 ახალგაზრდის ნაცვლად, სწავლებაში ჩაბმულია 298. განათლების განყოფილებაში არსებული აღრიცხვის მასალების მიხედვით რაიონში 400 მომუშავე ახალგაზრდას არ აქვს რვაწლიანი და საშუალო განათლება მაშინ, როცა მარტო ვაქირის, ხირსის საღამოსა და ტიბაანის დღის სკოლების მიკრორაიონებში არის 471 ასეთი ახალგაზრდა.

სრულიად არადამაკმაყოფილებელია ბოლნისის რაიონის საწარმოებს, მეურნეობებსა და საღამოს სკოლებს შორის კავშირი.

ზოგან სკოლების წლიური და პედაგოგიური საბჭოს ნახევარწლიანი სამუშაო გეგმები ზოგადი, ტრაფარეტული ხასიათისაა, მათში არ ჩანს, ვინ რა დროში და რა უნდა გააკეთოს. ეს განსაკუთრებით ეხება სიღნაღის რაიონის ხირსის საღამოს სკოლას.

სკოლების ერთი ნაწილის პედაგოგიური საბჭოს გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი საკითხი შეუსრულებელია, სხდომის ოქმების წიგნი არ არის დალუქული და დამოწმებული ხელმოწერითა ბეჭდით განათლების განყოფილების გამგეების მიერ. პედსაბჭოს ოქმებში სრულყოფილად გაანალიზებული არ არის ისეთი საკითხები, როგორიცაა ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა, საკონტროლო წერითი მუშაობის შესრულება, მოსწავლეთა მომზადების დონე.

ლანჩხუთის სარაიონო დაუსწრებელი საშუალო სკოლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში არ ტარდება პედაგოგიური თათბირები. ბევრგან არადამაკმაყოფილებლადაა შედგენილი კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები, საკითხები ზერელედ და მოუფიქრებლადაა შეტანილი, გეგმები, უმეტეს შემთხვევაში, ერთმანეთის ასლებს წარმოადგენენ;

ბოლნისის საღამოს საშუალო სკოლის კლასის ხელმძღვანელები გეგმის გარეშე მუშაობენ; ხირსის საღამოს საშუალო სკოლის IX კლასის, ხელმძღვანელი ე. ფეიქრიშვილი მოსწავლეთა სამუშაო ადგილზე —ალაზნის ქიმიურ ქარხანაში ერთხელაც არ ყოფილა.

შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი ნაკლებ დაინტერესებას იჩენს საკუთარი პედაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერული დონის ამაღლებისადმი, არ მუშაობს თვით საგნის, მისი სწავლების მეთოდებისა და ხერხების დაუფლებისათვის, ვერ იწვევს მოსწავლეებში ინტერესს საგნის შესწავლისადმი, რის გამოც სასურველ შედეგს ვერ აღწევს სწავლებაში.

ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდება საგნის სწავლებას ბოლნი-

სის სალამოს საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ა. შარიქაძე. VII კლასის მოსწავლეები ლიტერატურაში ამჟღავნებენ პროგრამით გათვალისწინებული მასალის არადამაკმაყოფილებელ ცოდნას, დაბალია მოსწავლეთა მეტყველების კულტურა, თხრობისას უშვებენ უხეშ ენობრივ შეცდომებს. მასწავლებელმა ახალი მასალა — „სოლომან მორბელაძე" ახსნა ისე, რომ არ მოუხდენია ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ანალიზი. ანალოგიური მდგომარეობაა ვაქირის სალამოს საშუალო სკოლაში მასწავლებელ ა. მჭედლიშვილის მუშაობაში.

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი მათემატიკის სწავლებაში ლანჩხუთის სარაიონო დაუსწრებელი საშუალო სკოლის ნიგვზიანის, სუფსის და ჩოჩხათის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში. ნიგვზიანის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის XI კლასში გეომეტრიის ჯგუფურ კონსულტაციაზე მასწავლებელმა ა. ვარდანაშვილმა წაკვეთილი კონუსის მოცულობა მოსწავლეთა მისაწვდომად ვერ ახსნა, იგი თეორიულ მასალას არ ამტკიცებს ამოცანების ამოხსნით, მას 15 ნოემბერს გასწორებული არ ჰქონდა 9 ოქტომბერს ჩატარებული წერითი ნამუშევრები. აღსანიშნავია ისიც, რომ IX და X კლასებში მოსწავლეთა უმრავლესობა არ მონაწილეობს საკონტროლო წერებში.

მსგავსი ხარვეზებით ხასიათდება სუფსის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის მათემატიკის მასწავლებლების შ. გუგუნავას და რ კვაჭანტირაძის მუშაობა. მათ შემოწმების დღისათვის საკონტროლო წერები არ ჰქონდათ ჩატარებული; სოფ. ჩოჩხათის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის მათემატიკის მასწავლებელმა კ. ანდღულაძემ XI კლასში გეომეტრიის ჯგუფურ კონსულტაციაზე თეორემა წაკვეთილი კონუსის მოცულობის შესახებ მეთოდურად დაბალ დონეზე ახსნა' მოსწავლეებს არ განუმარტა, თუ რა არის მიღებული წაკვეთილი კონუსის მოცულობის სიდიდედ და არ დაასაბუთა, რატომ უდრის წაკვეთილი კონუსის მოცულობა მისი შუაკვეთის წრეწირისა და სიმაღლის ნამრავლს. მოსწავლეთა საკონტროლო წერით ნამუშევრებს გულდასმით არ ასწორებს ლანჩხუთის დაუსწრებელი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ლ. ჩხაიძე.

გარკვეული ნაკლოვანებები აქვთ საგნის სწავლებაში ბოდბისა და ვაქირის სალამოს საშუალო სკოლების მათემატიკის მასწავლებლებს (მ. კოჭლამაზაშვილი, ვ. კუპრაშვილი). დაბალია ამ საგანში მოსწავლეთა მომზადება. მათ არც წინა მასალა იცოდნენ და ვერც ახსნილი მასალის ირგვლივ დასმულ კითხვებზე უპასუხეს.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება. ფიზიკა ბოლნისის რაიონის ზემო გულავერის რვაწლიან სკოლასთან არსებულ საღამოს XI კლასში (მასწავლებელი რ. იუსუფოვი), საგნის სწავლება ზედაპირულ-ყვიერად მიმდინარეობს, კლასის წინაშე დასმულ კითხვებზე თითონვე სცემს პასუხს, მოსწავლეებს არ ავარჯიშებს ამოცანების ამოხსნაზე, მათ სუსტად იციან განვლილი მასალა.

გარკვეული ნაკლოვანებანი აქვს საგნის სწავლებაში ბოლნისის რაიონის არაქელის რვაწლიან სკოლასთან არსებულ საღამოს კლასების ისტორიის მასწავლებელს ხ. ალიევს; IV კლასში „უტოპიური სოციალიზმი“ და „მეცნიერული კომუნიზმი“ ისე ახსნა, რომ არ შეხებია ამ თემის ძირითად საკითხებს, ხოლო X კლასში სსრ კავშირის შექმნა ახსნა ზერელედ, სრულებით არაფერი უთქვამს სსრ კავშირის შექმნის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ.

შემოწმებულ სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა საკონტროლო წერებს, დაბალია მოსწავლეთა წერის კულტურა, გასწორებულ ნაშრომებში შეუმჩნეველია სხვადასხვა სახის შეცდომები. სიღნაღის რაიონის ბოდბის საღამოს საშუალო სკოლაში IX, X და XI კლასების მოსწავლეთა 50 პროცენტს ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მასწავლებელი ნ. იმანაშვილი) დღემდე არ აქვს შესრულებული წერითი სამუშაოები, რაც შეაფერხებს პირველი სემესტრის ნიშნების დაწერას ამ საგანში; ვაქირის საღამოს საშუალო სკოლაში მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (მასწავლებელი მჭედლიშვილი), სამი თვის მანძილზე, მოსწავლეთა ერთ ნაწილს არც ერთი საკონტროლო წერა არ აქვს შესრულებული. ანალოგიური მდგომარეობაა ამ საგანში ტიბაანის საღამოს საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ა. ბეჟაშვილი).

ბოლნისის რაიონის საღამოს საშუალო სკოლებში და დღის სკოლებთან არსებულ კლასებში თითქმის უგულებელყოფილია საკონტროლო წერები. შემოწმებულ სკოლებში მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში მიმდინარე სასწავლო წელს არც ერთი წერა არ ჰქონდათ ჩატარებული.

სუფსის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში ჩათვლები არ ტარდება გრაფიკის მიხედვით, ხოლო ჩატარებული ჩათვლების შედეგები არადამაკმაყოფილებელია. სუფსის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის IX[1] კლასში ისტორიაში (მასწ. ი. მეგრელიშვილი) ამა წლის 21 ოქტომბერს 27 მოსწავლიდან ჩათვლა მიეცა მხოლოდ 4 მოსწავლეს, ხოლო X[2] კლასის 11 მოსწავლიდან ერთს; ჯურუყ-

ვეთის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში ჩათვლები არ იყო ჩატარებული გეოგრაფიასა და ფიზიკაში.

სიღნაღის რაიონის საღამოს სკოლებში არც ერთი ჩათვლა არ არის ჩატარებული.

ბიბლიოთეკა

სუფსის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში ინდივიდუალური კონსულტაციები დანიშნულებით არ არის გამოყენებული.

ნაკლოვანებები ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლებაში ერთდაგვარად გამოწვეულია იმითაც, რომ სუსტია სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, საღამოს სკოლები შეუფერხებლად ვერ სარგებლობენ მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით. ბოლნისის რაიონის საღამოს უფროსი კლასების ერთ ნაწილს მუშაობა უხდება რვაწლიანი სკოლების ბაზაზე და დღემდე არ ჩანს ზრუნვა კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობაზე

შემოწმებული სკოლების უმრავლესობაში სათანადო მუშაობა არ ტარდება მეორეწლიან მოსწავლეებთან. სოფ. არაქელის რვაწლიან სკოლასთან არსებულ საღამოს XI კლასის 9 მოსწავლიდან მეორეწლიანია 4, რომლებთან დღემდე არავითარი დამატებითი მუშაობა არ არის ჩატარებული; ბოლნისის საღამოს საშუალო სკოლაში 42 მეორეწლიან მოსწავლიდან წელს მხოლოდ 8 მოსწავლე სწავლობს, დანარჩენების ადგილსამყოფელი არ არის ცნობილი. ქვემო ბოლნისის საღამოს საშუალო სკოლაში შარშან დატოვებული 20 მეორეწლიანი მოსწავლიდან სწავლობს მხოლოდ 15. მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობა ნაკლოვანებებით ხასიათდება სიღნაღისა და ლანჩხუთის რაიონებში.

მოსწავლეები არ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით. ჯერ კიდევ მოუგვარებელია სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების სკოლაში ტარების საქმე.

ადგილი აქვს სკოლებში მეთოდური მუშაობის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საინსტრუქციო-მეთოდური წერილით გათვალისწინებულ მითითებათა დარღვევის შემთხვევებს. არ არის შექმნილი სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებები. გეგმებში არ არის გათვალისწინებული საღამოს სკოლების მუშაობის სპეციფიკის შესაბამისად სასწავლო პროცესის სრულყოფის, მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნების საკითხები. მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობა განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად ტარდება სიღნაღისა და ბოლნისის რაიონებში.

გაკვეთილებისა და კონსულტაციების გეგმები ზოგჯერ მოუფიქ-

რებლად, ნაუცბათევად იწერება, მათში გამოკვეთილად არ ჩანს გაკვეთილისა და კონსულტაციის ძირითადი მომენტები, აღნიშნული არის მეთოდები და ხერხები, გამოსაყენებელი თვალსაჩინოება.

ლანჩხუთის, სიღნაღისა და ბოლნისის რაიონებში საღამოს (ცვლიან) და დაუსწრებელ სკოლებში არსებული ეს ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში სუსტად უწევენ კონტროლს და ხელმძღვანელობას მასწავლებლების მუშაობას, იშვიათად ესწრებიან გაკვეთილებზე და კონსულტაციებზე. ბოლნისის სომხური საშუალო სკოლის დირექტორს მ. მინასიანს საღამოს კლასებში არც ერთი გაკვეთილი არ აქვს მოსმენილი, ანალოგიური მდგომარეობაა ზემო და ქვემო გულავერისა და სხვა სკოლებთან არსებულ საღამოს კლასებშიც. სიღნაღისა და ბოლნისის რაიონების განათლების განყოფილებები საჭირო ხელმძღვანელობას და დახმარებას ვერ უწევენ საღამოს სკოლების მუშაობას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბოლნისის, სიღნაღისა და ლანჩხუთის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა შ. კვაჭაძემ, ელ. დალაქიშვილმა, ვ. ჩიკაშუამ ქმედითი ღონისძიებები გაატარონ მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 4 დეკემბრის № 698 ბრძანების შესასრულებლად, რისთვისაც:

ა) მკვეთრად გააუმჯობესონ კონტროლი, დახმარება და ხელმძღვანელობა რაიონის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლებისადმი; მოსწავლეთა ჩაბმის საგეგმო დავალებათა შესრულებასთან ერთად გაატარონ საჭირო ღონისძიებები მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებისათვის, არ დაუშვან მოსწავლეთა განთესვა; მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი დაადონ სკოლების იმ დირექტორებს, რომლებიც უპასუხისმგებლოდ მოეკიდებიან მომუშავე ახალგაზრდობის სწავლისა და აღზრდის საქმეს;

ბ) პერიოდულად შეისწავლონ სკოლების მუშაობა და გაატარონ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას;

გ) მჭიდრო კავშირი დაამყარონ საწარმოებთან, დაწესებულებებთან, კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან იმ მიზნით, რომ ყველა მოსწავლე სარგებლობდეს მთავრობის მიერ დაწესებული შეღავათებით;

დ) იზრუნონ საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების მა-ტერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, შექმნან ისეთი პირობები, რომ ყველა საღამოს სკოლას ჰქონდეს სასწავლო კაბინეტ[illegible]ლობის საშუალება;

ე) ბრძანებაში აღნიშნული, აგრეთვე სხვა სუსტად მომუშავე მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელების მიმართ, ვინც ვერ უზრუნველყოფს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის საჭირო დონეზე დაყენებას, გაატარონ რადიკალური ღონისძიებები;

ვ) მიიღონ ზომები სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით საღამოს სკოლების მოსწავლეთა უზრუნველსაყოფად;

ზ) დროულად მიაწოდონ საღამოს სკოლებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან მიღებული ყველა სახელმძღვანელო მასალა და მეთოდური ლიტერატურა;

თ) 1976 წლის I აპრილამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ მოხსენებითი ბარათები ამ ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ ჩატარებული მუშაობის შესახებ;

ი) ბოლნისის რაიონის განათლების განყოფილებამ შეამოწმოს ზემო და ქვემო გულავერის, აგრეთვე ბოლნისის იმ სომხური მასობრივი სკოლების დირექტორების მუშაობა, სადაც განსაკუთრებით ცუდად ხელმძღვანელობენ საღამოს სკოლებს, თუ როგორ ართმევენ თავს ისინი დაკისრებულ მოვალეობას დღის სკოლებში და შედეგები აცნობონ განათლების სამინისტროს.

2. სკოლის დირექტორებმა და მათმა მოადგილეებმა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, პერიოდულად შეისწავლონ ცალკეული საგნების მასწავლებლების საქმიანობა, მიიღონ საჭირო ზომები მოსწავლეთა ცოდნაში არსებული სერიოზული ხარვეზების დაძლევისათვის;

ბ) მკვეთრად გააუმჯობესონ კავშირი წარმოება-დაწესებულებებთან: საფუძვლიანად გაეცნონ თითოეული მოსწავლის შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობებს, გააუმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლეებთან;

გ) მეტი ყურადღებით მოეკიდონ სასკოლო მუშაობის დაგეგმვას. სკოლის წლიური მუშაობის გეგმის შედგენისას გაითვალისწინონ ცალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეული სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობის შემოწმება და საგნის სწავლების ამაღლების ღონისძიებანი;

დ) გააუმჯობესონ პედაგოგიური საბჭოების (დაუსწრებელი სკოლების სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში პედაგოგიური თათბირების) მუშაობა. საბჭოს სხდომაზე სასწავლო წლის სემესტრების შედეგების განხილვისას ღრმად გააანალიზონ სემესტრებში სკოლის მიერ გაწეული მუშაობა და დასახონ მისი გაუმჯობესების კონკრეტული გზები;

ე) ზუსტად დაიცვან მოსწავლეთა მიღების წესები, სრულ წესრიგში მოიყვანონ მოსწავლეთა პირადი საქმეები და სასკოლო დოკუმენტაცია;

ვ) ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობით, საწარმოებთან და მოსწავლეთა ოჯახებთან კონტაქტის გაფართოებით მიაღწიონ მოსწავლეთა მიერ გაკვეთილებისა და კონსულტაციების არასაპატიო მიზეზით გაცდენის მინიმუმამდე დაყვანას, მათ მიერ შრომისა და სწავლის შეუფერხებლად შეთავსებას;

ზ) დაიცვან მითითებანი წერით სამუშაოთა რაოდენობის, სახეებისა და შეფასების ნორმების შესახებ, აღმოფხვრან საკონტროლო წერებისა და ჩათვლების ჩატარებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები;

თ) ლანჩხუთის დაუსწრებელმა სკოლამ ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები ჩაატაროს სასწავლო გეგმების სრული შესაბამისობით, მინიმუმამდე დაიყვანოს ინდივიდუალურ დაუსწრებელთა რიცხვი. ამ წესით უნდა სწავლობდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც, სამუშაოს თავისებურების ან საცხოვრებელი ადგილის სიშორის გამო, არ შეუძლიათ დაესწრონ მეცადინეობას;

ი) მუდამ იზრუნონ მასწავლებელთა მეცნიერულ-პედაგოგიური და მეთოდური დონის ამაღლებისათვის, აამაღლონ მათი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი;

კ) ეს ბრძანება განიხილონ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, აგრეთვე დღის სკოლებთან არსებული საღამოს კლასების მასწავლებლებთან და გაატარონ პრაქტიკული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ბოლნისის რაიონის განათლების განყოფილებამ 1975 წლის 1 დეკემბერს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე განიხილა საღამოს სკოლებისა და დღის სკოლებთან არსებული საღამოს კლასების მუშაობის საკითხი და საღამოს კლასებს

მუშაობაში დაშვებული სერიოზული შეცდომების, უპასუხისმგებლო-ბისა და უკონტროლობისათვის სასტიკი საყვედური გამოუცხადოთ ზე-მო შულავერის, ქვემო შულავერის, არაქელის, სოფ. ბოლნისის [illegible] სკოლების დირექტორებს, სადაც საღამოს კლასებია—ფ. მეხტიევს, ქ. კარაევს, ჰ. მამედოვს, მ. მინასიანს, ხოლო გაფრთხილებული არიან არახლოს, ქორაგილის, ქვ. ბოლნისის, ბექთაქირის, სალარიანის საღამოს სკოლების დირექტორები მ. ასნალოვი, შ. ჰასანოვი, ი. ბაგიროვი, ი. მამედოვი.

4. სიღნაღის რაიონის ხირსისა და ბოდბის საღამოს საშუალო სკოლების დირექტორებს გ. სოზაშვილსა და შ. კრაწაშვილს სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოთ საყვედური.

5. წინადადება მიეცეთ სიღნაღისა და ბოლნისის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებს ე. დალაქიშვილსა და შ. კვაჭაძეს უახლოეს მომავალში უზრუნველყონ მომუშავე ახალგაზრდების სწავლების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების გამოსწორება.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 25 დეკემბრის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 31 დეკემბრის ბრძანება № 1075

### მშობლიურ ლიტერატურაში მერვე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მეცხრე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ

მოსწავლეთა მერვე ლიტერატურულმა ოლიმპიადამ, რომელიც გასულ 1974—1975 სასწავლო წელს ჩატარდა, ხელი შეუწყო მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერესის ზრდას კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურისადმი; ამავე დროს, გამოავლინა ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც კარგად იცნობს მწერლობას, აქვს ნააზრევის წერილობით გადმოცემის კარგი უნარი.

ოლიმპიადა ჩატარდა ორ ეტაპად. პირველ-ზონალურ ტურში მონაწილეობა მიიღო მერვე, მეცხრე და მეათე კლასების 5 ათასამდე მოსწავლემ, რომელთაგან მეორე—რესპუბლიკურ ტურზე დაშვებულ იქნა—1119. რესპუბლიკურ ტურში გაიმარჯვა 504 მოსწავლემ. მათგან პირველი ხარისხის სიგელით დაჯილდოვდა 114, ხოლო მეორე ხარისხის სიგელით—390 მოსწავლე.

განვლილმა ოლიმპიადამ გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის ბევრ სკოლაში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება., ლიტერატურული გემოვნებით, შეთავაზებული თემების სრულყოფილი გაგებითა და წერითი მეტყველების მაღალი კულტურით თავი ისახელეს სიღნაღის რაიონის წნორის № 1, ახალციხის № 1, თბილისის №№ 55, 60, 118, 140, 143, ცხაკაიას № 3, გურჯაანის № 1, სოხუმის № 1, მახარაძის რაიონის ბოხვაურის, ჩოხატაურის № 1, ლანჩხუთის № 2, ამბროლაურის რაიონის ნიკორწმინდის, ახალქალაქის № 4 და ამავე რაიონის მაჯადიას საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალციხის № 1 სკოლა, რომლის შვიდმა მოსწავლემ დაიმსახურა ოლიმპიადაზე გამარჯვებულის სიგე-

ლი, ექვსმა მოსწავლემ გაიმარჯვა ცხაკაიას მე-3 საშუალო სკოლიდან, ოლიმპიადაზე წარმოდგენილმა წნორის I-ლი საშუალო სკოლის ყველა მოსწავლემ I ხარისხის სიგელი დაიმსახურა და ა. შ.

თემის ღრმა ცოდნა, ფართო განათლება და ლოგიკური აზროვნების უნარი გამოავლინეს თბილისის 132-ე, 140-ე, საგარეჯოს მე-2, ჩოხატაურის რაიონის ერკეთის, გუდაუთის № 3, წნორის 1-ლი საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. კარგად იცნობენ ქართულ და მსოფლიო ლიტერატურას, არ კმაყოფილდებიან მხოლოდ პროგრამული მასალით, აზროვნებენ თავისუფლად, წერენ ხატოვანი, მიმზიდველი ენით. ყველა მათგანი კარგად ფლობს გრამატიკულ წესებს, გააჩნიათ მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი,

მაგრამ, ამასთან, მერვე რესპუბლიკურმა ოლიმპიადამ ისიც გვიჩვენა, რომ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი:

განსაკუთრებით ცუდი მომზადება გამოავლინეს ქუთაისის მე-4, მე-15, თბილისის 120-ე და 139-ე, მარნეულის 1-ლი, რუსთავის 1-ლი, მე-9, ფოთის მე-3, გულრიფშის, სოხუმის მე-4, თბილისის 38-ე, 82, საშუალო სკოლების ცალკეულმა მოსწავლეებმა, რომელთაც ოლიმპიადის დასკვნით ტურში „ცუდი" შეფასება დაიმსახურეს.

ცალკეულმა მოსწავლეებმა ლიტერატურული მასალისა და ფაქტების სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს, ისინი ლოგიკურად ვერ უკავშირებენ ერთმანეთს თემის ძირითად ნაწილებს, თხზულებაში მიმართავენ უშინაარსო, არაფრისმთქმელ სიტყვებს, ნაწარმოების შინაარსისა და იდეური მიზანდასახულობის კვლევის ნაცვლად კმაყოფილდებიან ყალბი პათოსით. მაგალითად, ქუთაისის მე-4 საშ. სკოლის მოსწავლეებმა ც-ძემ და გ-ძემ ვერ მოახერხეს თუნდაც შესავალი დაეწერათ თემაში—„გალაკტიონი—ქართული პოეზიის დიდება", ხოლო თბილისის 139-ე საშ. სკოლის მოსწავლე ბ-შვილმა თხზულებაში—„ხალხთა შორის მეგობრობა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში" ლიტერატურული მასალის უცოდინარობას მართლწერის ელემენტარული წესების არცოდნაც დაუმატა და, ბუნებრივია, „2" დაიმსახურა. ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება მარნეულის 1-ლი საშ. სკოლის მოსწ. კ. გ-იანის, ქუთაისის მე-15 საშ. სკოლის მოსწ. ი. გ-ძის. რუსთავის 1-ლი საშ. სკოლის მოსწ. ო. რ-ის, სოხუმელი რ. ტ-იანის, გ. კ-ევას, მ. დ-ძისა და სხვათა ნამუშევრები.

მოტანილი ფაქტები ცხადყოფენ, რომ რესპუბლიკის ზოგ სკო-

ლაში სათანადო ყურადღება არ ექცევა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მოსწავლეთა მე-8 რესპუბლიკურ ოლიმპიადაში გამარჯვებისათვის დაჯილდოვდეს:

I ხარისხის სიგელებით—114 მოსწავლე;
II ხარისხის სიგელებით—290 მოსწავლე.

2. მშობლიური ლიტერატურის მე-9 რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ბ. ჟღენტი—საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე;

ს. დვალი—საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე;

ე. ქურციკიძე—საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი:

ო. დოლაბერიძე—პედ. მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების სექტორის გამგე;

ე. გულდამაშვილი—ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორ-მეთოდისტი, თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი;

ქ. დევდარიანი—რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორ-მეთოდისტი;

ა. კვასხვაძე—რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტი;

ვ. შელემეტიევა—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი;

ე. სურგულაძე—რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი;

მ. ოჩიგავა—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორი;

ი. წოწონავა—პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი;

გ. მიქაელიანი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი;

ა. კასრაძე—ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა ჰუმანიტარული განყოფილების გამგე;

ი. ბურშტეინი—თბილისის ლენინის რაიონის პედკაბინეტის მეთოდისტი;

პ. გასპარაშვილი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორ-მეთოდისტი;

ნ. ჭურადოვი—გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი;

ნ. ვოსკანიანი—თბილისის 93-ე საშ. სკოლის მასწავლებელი.

IV. მშობლიური ლიტერატურის რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

V. ზონალური ტური ჩატარდეს 1976 წლის 29 თებერვალს, რესპუბლიკური—4 აპრილს.

VI. დაევალოს რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს, სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის რაიონებსა და ქალაქებს.

VII. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დროულად გააცნონ სკოლებს მშობლიური ლიტერატურის ოლიმპიადის დებულება;

ბ) მშობლიური ლიტერატურის ოლიმპიადის ჩატარებისათვის ზონებში შექმნან საორგანიზაციო კომიტეტები.

VIII. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ) და ბ. ძნელაძის სახ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ (ამხ. ზ. ლომიძემ) 1976 წელს გამოყონ საჭირო თანხა ოლიმპიადის ჩატარებისათვის.

IX. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილმა) ბ.

ძნელაძის სახ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს გამოუყოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო საწერი ქაღალდი.

X. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის რვაწლიანი და საშუალო სკოლების პედსაბჭოების სხდომებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 26 დეკემბრის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით

## დებულება

### მოსწავლეთა ლიტერატურული ოლიმპიადისა

1. ოლიმპიადა მიზნად ისახავს, გაარღმაოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა მშობლიურ ლიტერატურაში, გამოავლინოს ნიჭიერი მოსწავლეები, ხელი შეუწყოს სკოლაში მშობლიური ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებას.

2. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლია რვაწლიანი და საშუალო სკოლების VIII—X (XI) კლასების ყველა მოსწავლეს.

3. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება:

ა) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს განათლების სამინისტრო;

ბ) ზონალური კომიტეტები—ზონის ცენტრად გამოყოფილ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებთან. ზონალური კომიტეტის შემადგენლობაში შევლენ სათანადო სპეციალისტები ცენტრიდან და აგრეთვე ზონაში შემავალი რაიონებიდან.

ზონალური კომიტეტების შემადგენლობას ამტკიცებს ცენტრის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

4. ლიტერატურული ოლიმპიადა ტარდება ორ ტურად: პირველი—ზონალური ტური ტარდება ზონის ცენტრში, მეორე—რესპუბლიკური—თბილისში. ზონალურ ტურს ატარებს ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტი, რესპუბლიკურს კი—რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

5. ზონალური ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია 28 ზონად:

1. თბილისი—ქ. თბილისის სკოლების მოსწავლეთათვის;

2. სოხუმი—აფხაზეთის ასსრ მოსწავლეთათვის:

3. ბათუმი—აჭარის ასსრ მოსწავლეთათვის;

4. რუსთავი—ქ. რუსთავის, გარდაბნის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

5. ცხინვალი—სამხრეთ ოსეთის ა/ო სკოლების მოსწავლეთათვის;

6. ქუთაისი—ქუთაისის, ტყიბულის, წყალტუბოს, მაიაკოვსკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

7. სამტრედია—სამტრედიის, ვანის, წულუკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

8. ზესტაფონი—ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

9. ფოთი—ქ. ფოთის სკოლების მოსწავლეთათვის;

10. ცხაკაია—ცხაკაიას, აბაშის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

11. ზუგდიდი—ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

12. ჭიათურა—ჭიათურის, საჩხერის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

13. გორი—ქ. გორის, გორის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

14. მცხეთა—მცხეთის, კასპის, დუშეთის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

15. ახალციხე—ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

16. ახალქალაქი—ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

17. ბოლნისი—ბოლნისის, დმანისის, მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

18. თეთრიწყარო—თეთრიწყაროს, წალკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

19. თელავი—თელავის, ახმეტის, ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

30. გურჯაანი—გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

21. მახარაძე—მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

22. ამბროლაური—ამბროლაურის, ონის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

23. მესტია—მესტიის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

24. ცაგერი—ცაგერის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

25. ლენტეხი—ლენტეხის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

26. ყაზბეგი—ყაზბეგის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

27. თიანეთი—თიანეთის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

23. თბილისი—რკინიგზის სკოლების მოსწავლეთათვის.

6. პირველი—ზონალური ტური ჩატარდება 1976 წლის 29 თებერვალს, მეორე—რესპუბლიკური—4 აპრილს. ზონალური ტურის კანდიდატებს, განათლების განყოფილებებთან შეთანხმებით, შეარჩევენ სკოლების მოსწავლეთაგან, რომელთაც აქვთ სათანადო მონაცემები და სურვილი, მონაწილეობა მიიღონ ლიტერატურის ოლიმპიადაში.

ამ მოსწავლეთა სიები, შემოწმებული განათლების განყოფილების მიერ, ეგზავნება ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტს.

7. ორივე ტურის თემებს ადგენს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. ზონალური ტურისათვის დალუქულ პაკეტებს საორგანიზაციო კომიტეტები მიიღებენ ფოსტით ან სპეციალური პირის საშუალებით.

8. ზონალური ტურის დღეს დალუქულ პაკეტს, ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლეთა თანდასწრებით, ხსნის ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

შენიშვნა: ოლიმპიადაზე წერითი სამუშაო სრულდება წინასწარ მომზადებულ და შტამპდასმულ ქაღალდზე, რომელსაც ამზადებენ შესაბამისი საორგანიზაციო კომიტეტები.

9. ოლიმპიადაზე მონაწილე მოსწავლეებისათვის თემის დასაწერად განსაზღვრულია 5 ასტრონომიული საათი.

10. ზონალური ტურის მონაწილე მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს ასწორებენ ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები და გამარჯვებულთა შეფასების ნიშნებსა და ნაწერებს, არა უგვიანეს 15 დღისა ზონალური ტურის ჩატარებიდან, უგზავნიან რესპუბლიკურ კომიტეტს.

11. ზონალურ ტურში გამარჯვებულ მოსწავლეებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი გაიწვევს თბილისში, დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად.

12. რესპუბლიკური ტურის მონაწილე მოსწავლეთა ნამუშევრებს

განიხილავს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. რესპუბლიკურ ოლიმპიადაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის მოსწავლეები რომლებიც ორივე ტურში მიიღებენ მაღალ შეფასებას („4“ ან „5“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიადაში გამარჯვებულებს დასაჯილდოებლად წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

თ. ლაშქარაშვილი

13 იანვარი, 1976 წელი

## მეთოდური მითითებანი უცხოურ ენაში საკონტროლო წერითი სამუშაოების სახეებისა და რაოდენობის შესახებ

წერის სწავლებას უცხოურ ენაში საფუძველი ეყრება მე-5 კლასიდანვე, იგი მოსწავლეთა ცოდნის განმტკიცებისა და შემოწმების ერთ-ერთი საშუალებაა.

როგორც წესი, უცხოურ ენაში ტარდება საკონტროლო წერითი სამუშაოები.

საკონტროლო სამუშაოების ჩატარებით არამარტო ჯამდება მოსწავლეთა მიერ მიღებული ცოდნა ფონეტიკაში, ორთოგრაფიაში, ლექსიკასა და გრამატიკაში, არამედ მოწმდება მიღებული ცოდნის დამოუკიდებლად გამოყენების უნარიც. ამიტომ საკონტროლო წერითი სამუშაოები ტარდება მაშინ, როდესაც ესა თუ ის პროგრამული მასალა მოსწავლეთა მიერ საფუძვლიანად არის შეთვისებული. საკონტროლო წერით მუშაობას წინ უძღვის საკლასო და საშინაო წერითი სამუშაოები.

საკონტროლო წერითი სამუშაოებისათვის მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს დამახასიათებელი მაგალითები; ამასთან, იგი არ უნდა იყოს შინ ან კლასში ჩატარებულ სამუშაოებზე ძნელი.

საკონტროლო წერისათვის დანიშნული დღე ცნობილი უნდა იყოს მოსწავლეთათვის. დაუშვებელია მეოთხედის უკანასკნელ გაკვეთილზე საკონტროლო წერითი სამუშაოების ჩატარება. წერაში დაშვებული ტიპური შეცდომების ანალიზი და გასწორება უნდა მოხდეს მომდევნო გაკვეთილზე საკონტროლო წერის რვეულებშივე.

საკონტროლო წერითი სამუშაოების შეფასებისას მასწავლებელმა მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც ნამუშევრის ორთოგრაფიული, პუნქტუაციური, სტილისტიკური მხარე, ისე მისი სისუფთავე და კალიგრაფიაც. საკონტროლო წერითი სამუშაოს შეფასების ნიშნები მასწავლებელმა უნდა შეიტანოს საკლასო ჟურნალში ამ წერის ჩატარების თარიღით.

მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ სამი რვეული: სიტყვარის, საკლასო-საშინაო წერითი სამუშაოებისა და საკონტროლო წერითი სამუშაოებისათვის.

საკლასო წერითი სამუშაოები ტარდება: V—X კლასებში—საჭიროების მიხედვით, 5—15 წუთამდე ხანგრძლივობით.

საკონტროლო წერითი სამუშაოები უნდა ჩატარდეს შემდეგი რაოდენობით:

| კლასები | მეოთხედები | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV | სულ |
| V კლასი | 1 | 1 | 2 | 2 | 6 |
| VI—VII კლასები | 2 | 1 | 2 | 1 | 6 |
| VIII—X კლასები | 1 | 1 | 2 | 1 | 5 |

საკონტროლო წერით სამუშაოებს უნდა დაეთმოს:

V—VI კლ. 20—25 წთ.
VII—VIII კლ. 25—30 წთ.
IX—X კლ.—40 წ.

(აქ ნაგულისხმევია თვით წერის პროცესის ხანგრძლივობა, მოსამზადებელი დროის ჩაუთვლელად).

საკონტროლო წერითი სამუშაოს ჩატარებისას მასწავლებელმა დაფაზე უნდა დაწეროს თარიღი, საკონტროლო სამუშაოს ნომერი, სამუშაოს სახე (კითხვა-პასუხი, კარნახი და ა. შ. და თემა, თუკი მისი დასახელება შესაძლებელია).

წერითი სამუშაოების სახეები შეიძლება განმეორებულ იქნეს მომდევნო კლასებში, მაგრამ უფროს კლასებში სამუშაო ჩატარდება შედარებით ძნელ მასალაზე და უფრო რთული ფორმით.

იმის გამო, რომ უცხოურ ენაში გარკვეული სხვაობაა ბეჭდურ შრიფტსა და ხელნაწერს შორის, მე-5 კლასში ყურადღება, უპირვე-

ლეს ყოვლისა, უნდა გამახვილდეს დაფიდან ხელნაწერის, შემდეგ კი წიგნიდან ბეჭდური ტექსტის გადაწერაზე. მიზანშეწონილია ცალკეული ასოების, მარცვლებისა და სიტყვების ზეპირად და კარნახით წერა.

უცხოურ ენაში გამოყენებულ უნდა იქნეს მხედველობითი და სმენითი კარნახი.

მხედველობითი კარნახი, ძირითადად, მე-5 კლასში გამოიყენება. იგი შემდეგში მდგომარეობს: დაფაზე დაწერილ სიტყვას ან წინადადებას მოსწავლეები რამდენჯერმე კითხულობენ, შემდეგ დაფა სუფთავდება და მოსწავლეები აღქმულს წერენ რვეულებში.

სმენითი კარნახის გამოყენება იწყება მე-5 კლასში, წლის ბოლოს და გრძელდება სწავლების ყველა საფეხურზე.

საკონტროლო წერითი მუშაობისათვის კარნახის ხსენებული სახეებიდან, გამოიყენება მხოლოდ სმენითი კარნახი. კარნახისათვის მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოამზადოს შესწავლილი ტექსტის მოკლე შინაარსი ან შეადგინოს ნაცნობ ლექსიკურ და ენობრივ მასალაზე აგებული ახალი ტექსტი.

კარნახისათვის შერჩეული მასალის წაკითხვა როგორც კარნახის დაწყებამდე, ისე მის შემდეგ, აუცილებელია სწავლების ყველა საფეხურზე.

საკონტროლო კარნახის კლასების მიხედვით ჩასატარებლად გათვალისწინებულია სიტყვათა შემდეგი რაოდენობა:

V კლ. —15—10 სიტყვამდე
VI კლ. —20—25 სიტყვამდე
VII კლ. —25—35 სიტყვამდე
VIII-X კლ.—35—50 სიტყვამდე

(სიტყვების საერთო რაოდენობაში არ შედის დამხმარე სიტყვები).

საკონტროლო კარნახის ჩატარებისას მოსწავლეებს ზოგჯერ შეიძლება მივცეთ ფონეტიკური, ორთოგრაფიული, გრამატიკული ან ლექსიკური ხასიათის დამატებითი სამუშაო. ამ შემთხვევაში სიტყვათა რაოდენობა დავალების სიძნელის შესაბამისად უნდა შემცირდეს.

## საკონტროლო წერითი სამუშაოების თემატიკა

### V კლასი

1. ნაბეჭდი ტექსტის გადაწერა წიგნიდან
2. აზრის თხრობითი, კითხვითი და უარყოფითი წინადადებებით გამოხატვა

3. საკლასო ოთახის აღწერა

4. კითხვებზე პასუხის გაცემა—საყოფაცხოვრებო თემატიკის გათვალისწინებით

5. წინადადებების შედგენა ნაცნობი ლექსიკის გამოყენებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. წინადადებაში გამოტოვებული ადგილების ნაცვლად საჭირო ლექსიკური ერთეულების ჩასმა

7. მოსწავლის სამუშაო დღის აღწერა (რამდენიმე წინადადებით)

8. კარნახი

9. კითხვებზე პასუხის გაცემა სახელმძღვანელოს გამოყენებით

10. დედაენიდან უცხოურ ენაზე თარგმნა-განვლილი მასალის ფარგლებში.

## VI კლასი

1. შესასწავლი ტექსტის ირგვლივ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა (ტექსტის მიხედვით)

2. წინადადებაში გამოტოვებული ადგილების მოცემული სიტყვებით ან გრამატიკული ფორმებით შევსება

3. კარნახი

4. მოცემული სიტყვებისაგან წინადადებების შედგენა

5. სურათის აღწერა—ნაცნობი ლექსიკური მასალის მიხედვით

6. შესწავლილი ლექსიკის ფარგლებში გარკვეულ თემაზე საკუთარი აზრის წერილობით გადმოცემა (5—7 წინადადებით)

7. ნაცნობ ლექსიკურ მასალაზე აგებული ტექსტის თარგმნა დედაენიდან უცხოურ ენაზე

8. აზრის თხრობითი, კითხვითი და უარყოფითი წინადადებით გამოხატვა

9. რამდენიმე წინადადების შედგენა წლის დროების შესახებ (შერჩევით).

## VII კლასი

1. კითხვებზე პასუხის გაცემა

2. წინადადებაში ზმნის ერთი დროიდან მეორეში გადაყვანა

3. წერილობითი თხრობა ოჯახში შრომითი საქმიანობის შესახებ

5. ნაცნობ ლექსიკურ მასალაზე აგებული ტექსტის თარგმნა დედაენიდან უცხოურზე

6. თემატური სურათის აღწერა განვლილი ლექსიკურ-გრამატიკული მასალის ბაზაზე

7. ნაცნობ ლექსიკურ ერთეულებზე აგებული უცნობი ტექსტის შინაარსის გადმოცემა (მოცემული გეგმის მიხედვით).

## VIII კ ლ ა ს ი

1. წინადადებაში ზმნის გადაყვანა ყველა შესწავლილი დროის ფორმაში

2. მშობლიური ქალაქის (სოფლის) ღირსშესანიშნაობათა აღწერა

3. წერილობითი თხრობა სკოლაში გატარებული პირველი დღის შესახებ

4. კარნახი

5. თემატური სურათის აღწერა

6. წერილის მიწერა უცხოელი მეგობრისადმი

7. ნაცნობ ლექსიკურ მასალაზე აგებული ტექსტის დედაენიდან უცხოურ ენაზე თარგმნა.

## IX კ ლ ა ს ი

1. შემოდგომის სურათის აღწერა

2. წინადადებაში ზმნის გადაყვანა ყველა შესწავლილი დროის ფორმაში

3. შესასწავლი ენის ქვეყნის დედაქალაქის აღწერა

4. უცხო ტექსტის თავისუფალი თარგმნა უცხოური ენიდან მშობლიურზე (ლექსიკონის გამოყენებით)

5. წინადადებაში ზმნის გადაყვანა მოქმედებითი გვარიდან ვნებითში

6. ტექსტის მიმართ სპეციალური კითხვების დასმა (ინგლისური ენა)

7. კარნახი

8. მეგზურობის გაწევა სტუმრებისათვის სკოლაში (წერილობით).

## X კ ლ ა ს ი

1. ლიტერატურული ნაწყვეტის დედაენიდან უცხოურზე თარგმნა (ლექსიკონის დახმარებით)

2. მოდალური ზმნების შეცვლა ექვივალენტებით (ინგლისურ ენაში)

3. წერილობით საუბარი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაზე სკოლაში (8—10 წინადადების შედგენა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ნაცნობ ლექსიკურ მასალაზე აგებული მეცნიერულ-პოპულარული ტექსტის თარგმნა დედაენაზე (ლექსიკონის გარეშე)

5. საგაზეთო მასალის თარგმნა დედაენაზე (ლექსიკონის დახმარებით)

6. კარნახი

7. წერილობით თხრობა საყვარელი მწერლის (მხატვრის, მსახიობის) შესახებ

8. უცნობი ადაპტირებული ტექსტის შინაარსის გადმოცემა

9. წერილის მიწერა მეგობრისადმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 14 იანვრის ბრძანება № 21

### გეგეჭკორის, ქურთისა და ლენინგორის საბავშვო სახლებში სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეურნეო საქმიანობის შემოწმების შესახებ

გეგეჭკორის, ქურთისა და ლენინგორის საბავშვო სახლების (დირექტორები ამხ. ამხ. ნ. ესიავა, ა. შახნაზაროვი, მ. ბულბუთაშვილი) მუშაობის შემოწმებამ ცხადყო, რომ საბავშვო სახლების პედაგოგიურ კოლექტივებს გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

დამაკმაყოფილად მუშაობენ ქურთისა და ლენინგორის საბავშვო სახლების დირექტორის მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ამხ. ა. ჯიოევა და ამხ. ნ. კულუმბეგოვა, მათ კარგად აქვთ შედგენილი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმები, მოწესრიგებული აქვთ მუშაობის აღრიცხვა, რეგულარულად ატარებენ აღმზრდელებთან მეთოდურ მუშაობას, ასევე დამაკმაყოფილებლად მუშაობენ აღმზრდელები: თ. ჯაბიევა, ფ. ბუჯიევა, ს. უსთაროვა, ა. ჯიგკაევა (ქურთის საბავშვო სახლი), მ. ჯიოევა, მ. პავლიაშვილი, მ. გონაშვილი (ლენინგორის საბავშვო სახლი). მათ მიერ შედგენილ სამუშაო გეგმებში გათვალისწინებულია აღსაზრდელთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები. ამ საბავშვო სახლებში კარგადაა ორგანიზებული აღსაზრდელთა მეცადინეობა, თვითმომზადება, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აღსაზრდელთა ზნეობრივ და იდეურ აღზრდას.

შესწავლილი საბავშვო სახლები შეგუებულ შენობებშია მოთავსებული. მიუხედავად ამისა, ქურთისა და ლენინგორის საბავშვო სახლებში პასუხისმგებლობით ეკიდებიან შენობა-ნაგებობებისა და ეზო-კარმიდამოს მოვლა-პატრონობის საქმეს, ყველა სათავსოში სისუფთავე და წესრიგია (სამზარეულო, საძინებელი და სამეცადინო ოთახები

სველი წერტილები). კარგადაა დაყენებული აღსაზრდელთა ჯანმრთე-ლობის დაცვის საქმე. აღსაზრდელთა შორის დაავადების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. ყველა აღსაზრდელი გატარებულია ღრმა სამე-დიცინო შემოწმებაზე.

ერთგვარად გაუმჯობესდა ბავშვთა კვება. საბავშვო სახლები უკეთ მარაგდებიან კვების პროდუქტებით, მაგრამ კვალინდებურად შეფერხებებია ბოსტნეულის მომარაგებაში.

მიუხედავად ზემოაღნიშნული წარმატებებისა, შემოწმებული სა-ბავშვო სახლების მუშაობაში ჯერ კიდევ მთელი რიგი ნაკლოვანება-ნი შეინიშნება.

გეგეჭკორის რუსულ საბავშვო სახლში სუსტადაა დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა. ამ საბავშვო სახლის აღმზრდელები: ლ. გვალია, მ. გალდავა, ნ. გეგია, ბ. გვილავა, ნ. კვესელავა სუსტად ფლობენ რუსულ ენას, მათ ქართულ ენაზე სწორად აქვთ შედგენი-ლი სამუშაო გეგმები, მაგრამ დასახულ ღონისძიებებს ვერ ახორციე-ლებენ ენის უცოდინარობის გამო. ისინი ვერ ეხმარებიან აღსაზრდე-ლებს საშინაო დავალების მომზადებაში, ვერ აძლევენ მათ საჭირო მითითებებს და ვერ ნერგავენ მათში დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს.

დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ამხ. კ. ფურცვანიძე თათბირებს, მეთოდურ მუშაობას აღმზრ-დელებთან ქართულ ენაზე ატარებს; ქართულ ენაზეა შედგენილი ყვე-ლა მეთოდური მითითებაც.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ქურთის საბავშვო სახლის დამწყები აღმზრდელი ზ. ცხოვრებოვა, მეთოდურ დახელოვნებას სა-ჭიროებს აგრეთვე ლენინგორის საბავშვო სახლის აღმზრდელი მ. ალ-ბოროვა.

შესწავლილი საბავშვო სახლები ღარიბია მეთოდური და მხატვ-რული ლიტერატურით. ქურთის საბავშვო სახლის სკოლამდელი ჯგუ-ფის აღსაზრდელებს არა აქვთ სათამაშოები და დიდაქტიკური მასა-ლები, გეგეჭკორის საბავშვო სახლის შენობის ერთი ნაწილის ავარიუ-ლობის გამო საძინებელ და სამეცადინო ოთახებში დიდი სივიწროვეა. საძინებელ ოთახებში დარღვეულია საწოლების განლაგების სანიტა-რული ნორმები. ყველა საბავშვო სახლში კეთილმოუწყობელია იზო-ლატორები, ჰიგიენის ოთახები, პირსაბანები, ტუალეტები.

გეგეჭკორის საბავშვო სახლის დირექტორი ნ. ესიავა და მისი მოადგილე სამეურნეო დარგში გ. უგულავა მთელი პასუხისმგებლო-

ბით არ ეკიდებიან საბავშვო სახლის რბილი და მაგარი ინვენტარით უზრუნველყოფისა და აღსაზრდელთა ნორმით გათვალისწინებული პროდუქტებით მომარაგების საქმეს. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა საბავშვო სახლში სისუფთავის დაცვის მხრივაც.

გეგეჭკორის, ქურთისა და ლენინგორის საბავშვო სახლებში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გეგეჭკორის, ლენინგორისა და ცხინვალის რაიონების განათლების განყოფილებებმა (გამგეები შ. ცანავა, ვ. ტასოვა, თ. თიგიევი):

ა) კონტროლი და დახმარება გაუწიონ გეგეჭკორის, ლენინგორისა და ქურთის საბავშვო სახლებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საქმეში;

ბ) ყოველდღიურად იზრუნონ საბავშვო სახლების აღსაზრდელთა ყოფაცხოვრებისა და სწავლა-აღზრდისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად. საბავშვო სახლებს, მაგარი და რბილი ინვენტარით უზრუნველყოფის მიზნით, გამოუყონ საჭირო თანხები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აღსაზრდელების ნორმით გათვალისწინებული კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეს;

გ) ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მუშაკების მიმართ გაატარონ ადმინისტრაციული ზომები. ამასთან ერთად, იზრუნონ მათი პროფესიული ოსტატობის ამაღლებისათვის;

2. გეგეჭკორის, ქურთის, ლენინგორის საბავშვო სახლების დირექტორებმა (ამხ. ნ, ესიაშა, ა. შახნაზაროვი, მ. ბულბუთაშვილი):

ა) ქმედითი ზომები მიიღონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის, რისთვისაც გადაჭრით აამაღლონ აღმზრდელთა იდეურ - პოლიტიკური და თეორიული მომზადების დონე;

ბ) გააძლიერონ კონტროლი და დახმარება აღმზრდელთა საქმიანობაზე, მიაღწიონ იმას, რომ თითოეული აღმზრდელი საფუძვლიანად ემზადებოდეს საარმზრდელო ჯგუფში მეცადინეობის ჩასატარებლად;

გ) სისტემატური კონტროლი დააწესონ საალმზრდელო ჯგუფის მეცადინეობაზე. განაზოგადონ მოწინავე აღმზრდელთა მუშაობის გამოცდილება,ხოლო სუსტად მომუშავე აღმზრდელებს აღმოუჩინონ მეთოდური დახმარება;

დ) იზრუნონ აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის გაუმჯობესე-ბისათვის, არ დაუშვან კვების ნორმების დარღვევა, მიაღწიონ იმას, რომ საბავშვო სახლები სისტემატურად ღებულობდნენ ახალ ხილს, ხორცს, კვერცხს, თევზს და ბოსტნეულს;

ე) განსაკუთრებული ზომები მიიღონ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დასაცავად, საბავშვო სახლის ყველა ობიექტზე და ეზოში დაამყარონ სანიმუშო სისუფთავე და წესრიგი.

3. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტი ხელმძღვანელობისათვის მიეთითოს საბავშვო სახლის დირექტორს ამხ. ნ. ესიავას.

4. საბავშვო სახლის აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვის საქმეში უპასუხისმგებლობისათვის გამოეცხადოს საყვედური გეგეჭკორის საბავშვო სახლის დირექტორის მოადგილეს სამეურნეო დარგში ამხ. ვ. უგულავას.

5. გეგეჭკორის განათლების განყოფილებამ (ამხ. შ. ცანავა) სისტემატური კონტროლი დააწესოს საბავშვო სახლის მუშაობაზე და ქმედითი ღონისძიებანი განახორციელოს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

6. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ თ. ნიკოლაიშვილი):

ა) შეისწავლოს და მოამზადოს საკითხი გეგეჭკორის საბავშვო სახლის სხვა ადგილზე გადატანის შესახებ.

ბ) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 25 დეკემბრის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ № 32

## МИНИСТРА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР ОТ 20 ЯНВАРЯ 1976 г.

**О мерах по дальнейшему улучшению преподавания русского языка в общеобразовательных школах республики**

Рассмотрев вопрос об итогах Всесоюзной конференции на тему „Опыт изучения и преподавания русского языка в школах, высших и средних специальных учебных заведениях страны", коллегия Министерства просвещения СССР отметила, что на конференции был обобщен накопленный опыт изучения и преподавания русского языка в национальной общеобразовательной школе, средних специальных и высших учебных заведениях страны. Материалы и документы конференции являются важным вкладом в дальнейшее совершенствование преподавания русского языка—языка межнационального общения народов Советского Союза, мощного фактора воспитания подрастающих поколений в духе интернационализма и советского патриотизма.

Коллегия Министерства просвещения СССР своим решением за № 31/2 от 17. 10. 75 г. одобрила рекомендации конференции, наметив целый ряд действенных мероприятий по улучшению преподавания русского языка, в числе которых:

Разработка проекта типового учебного плана для национальных школ союзных республик;

Создание типовых учебно-методических комплектов по русскому языку для подготовительных, (I-X (XI) классов национальных школ, средних и высших педагогических учебных заведений, учебных словарей различных типов, учебни-

ков и пособий для углубленного изучения русского языка в национальных школах союзных республик, комплектов пособий для работы учителя национальной школы над отдельными произведениями художественной литературы, включенными в программы всех союзных республик;

Подготовка и издание в 1976-80 гг. серии книг для внеклассного чтения учащихся национальных школ и серии „Библиотека учителя русского языка национальной школы".

Кроме того коллегия Минпроса СССР решила:

а) разработать мероприятия по организации изучения русского языка в национальных детских садах союзных республик, подготовке и выпуску комплекта соответствующих учебно-наглядных и дидактических материалов;

б) рассмотреть вопрос о делении классов национальных школ на группы на уроках русского языка и литературы в городских и сельских школах, начиная с 1 года обучения;

в) принять меры по улучшению подготовки педагогических кадров для национальных школ страны.

Коллегия поручила Министерствам просвещения (народного образования) союзных республик разработать конкретные планы совершенствования преподавания русского языка в национальных школах,

В связи с этим необходимо отметить, что несмотря на проделанную за последние несколько лет работу, в деле преподавания русского языка в национальных школах республики имеется ряд существенных недостатков, в результате чего знания большинства выпускников по русскому языку не соответствуют программным требованиям. У них очень бедный словарный запас, плохое произношение, слабые речевые навыки.

Основными причинами неудовлетворительного состояния обучения учащихся русскому языку является недостаточная методическая подготовка учителей, невысокий уровень научно-исследовательской работы, необеспеченность сельских школ квалифицированными кадрами преподавателей, отсут-

ствие необходимой методической литературы, несистематическое использование в процессе обучения технических средств, наглядности и др. материалов, слабая постановка внеклассной и внешкольной работы, отсутствие книг для внеклассного чтения, слабый внутришкольный контроль за состоянием преподавания русского языка.

Во исполнение указанного решения Коллегии Министерства просвещения СССР, в целях улучшения преподавания русского языка,

Приказываю:

1. В 1977-78 уч. году ввести обучение русскому языку в первых классах грузинских школ с первого полугодия.

2. Управлению школ, Управлению методики и учебников, Планово-финансовому управлению предусмотреть соответствующее изменение учебного плана, переработку программы и учебника для 1 класса, своевременную подготовку методических указаний.

3. Просить Министерство просвещения СССР, Президиум Академии педагогических наук СССР, НИИ преподавания русского языка в национальной школе открыть в Грузии проблемную лабораторию института с целью организации исследований по методике обучения русскому языку в грузинских, азербайджанских, армянских, абхазских и осетинских школах.

4. Управлению методики и учебников (тов. Мнатобишвили Л. С.):

а) в месячный срок уточнить и представить на утверждение коллегии перспективный план подготовки и издания в 1976-1980 гг. учебно-методической литературы, методических руководств, сборников диктантов, изложений, упражнений по грамматике и развитию речи, словарей различных типов, пособий по факультативным курсам, дидактических материалов;

б) совместно с Управлением школ рассмотреть вопрос и представить предложения об увеличении с 1976/77 уч. года

числа школ и классов с углубленным изучением русского языка (срок-апрель 1976 г.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. Управлению школ (тов. Канделаки Р. С.):

а) до начала 1976/77 уч. года подготовить Методические указания о видах, количестве, порядке проверки и нормах оценки письменных работ учащихся грузинских школ по русскому языку и литературе;

б) изучить постановку преподавания русского языка и литературы в школах Юго-Осетинской АО, Амбролаурском, Самтредском и Телавском районах. О результатах доложить коллегии (срок-апрель и декабрь 1976 г.).

6. Управлению учебно-воспитательной работы (тов. Жгенти Т. Г.).

а) совместно с Республиканским научно-методическим центром идейно-нравственного воспитания (тов. Муджири Д. В.) изучить в ряде сельских районов республики осуществление идейно нравственного воспитания на уроках русского языка и литературы в национальных школах, работу школьных библиотек по организации внеклассного чтения на русском языке. О результатах доложить коллегии (срок-апрель 1976 г.);

б) совместно с НИИ педагогических наук им. Я. Гогебашвили (тов. Сакварелидзе Г. А.) подготовить и провести в 1977 году Республиканский семинар-совещание работников народного образования и передовых учителей по вопросам организации внеклассного и внешкольного изучения русского языка.

7. Отделу кадров (тов. Квачадзе И. И.) совместно с Республиканским и Тбилисским городским институтами усовершенствования учителей (тов. Захашвили Т. А. и Элизбарашвили А. В.) организовать в течение пяти лет переподготовку всех преподавателей русского языка и литературы национальных школ.

8. Республиканскому институту усовершенствования учителей (тов. Захашвили Т. А.) предусмотреть огранизацию

в 1976-1980 гг. специальных курсов для учителей недостаточно владеющих русским языком.

9. НИИ педагогических наук им Я. Гогебашвили (тов. Сакварелидзе Г. А.) провести в январе 1977 года Республиканскую научно-методическую конференцию по актуальным проблемам преподавания русского языка, пригласить для участия в работе конференции научных сотрудников НИИ ПРЯНШ АПН СССР, НИИ педнаук Армянской и Азербайджанской ССР

10. Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующему Юго-Осетинским облоно, заведующим городскими и районными отделами народного образования:

а) обсудить данный приказ на заседаниях коллегий и советов отделов народного образования, заметить конкретные мероприятия для повышения качества преподавания русского языка;

б) уделить особое внимание созданию в школах кабинетов русского языка и литературы, оснащению их необходимыми техническими средствами и дидактическими материалами.

11. Отметить, что до сих пор полностью или частично не выполнены пункты 2 и 7 приказа Министра просвещения Грузинской ССР № 568 от 28 августа 1973 года, пункты 5 и 9 приказа № 116 от 15 февраля 1974 года, пункт 5 приказа № 15 от 7 января 1975 года.

12. До конца февраля 1976 года заслушать на коллегии информации НИИ педагогических наук им. Я. Гогебашвили (тов. Сакварелидзе Г. А.) и Республиканского института усовершенствования учителей (тов. Захашвили Т. А.) о проделанной работе по выполнению указанных приказов.

13. Поручить Инспекции народного образования (тов. Рогава З. А.) установить контроль за выполнением данного приказа и приказов, указанных в десятом пункте. Представить отчет о ходе их выполнения к 1 мая и 1 декабря 1976 года.

Основание: Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 8 января 1976 года.

Министр **Т. Лашкарашвили**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 22 ივნისის ბრძანება № 42

### გლდანის № 1 სპორტულ სკოლა-ინტერნატში მასწავლებელთა არაპედაგოგიური საქციელის შესახებ

გასული წლის 24 დეკემბერს გლდანის № 1 სპორტული სკოლა-ინტერნატის მასწავლებელმა ზ. ჭელიძემ განცხადებით მიმართა ზემდგომ ორგანოებს, რომ სკოლა-ინტერნატის სამასწავლებლოში ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა მწვრთნელმა ჯ. თევდორაძემ მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

ადგილზე შემოწმებით დადგინდა, რომ მასწავლებელი ზ. ჭელიძე და მწვრთნელი ჯ. თევდორაძე წალაპარაკდნენ და შემდეგ ერთმანეთს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ამ სამარცხვინო ინციდენტის წამომწყები თვით განცხადების ავტორი ზ. ჭელიძე აღმოჩნდა, რომელმაც, მდგომარეობის გამძაფრების მიზნით, შეთხზა ვერსია ჯ. თევდორაძის არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნისა და მისთვის ფიზიკური შეურაცყოფის მიყენების შესახებ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზ. ჭელიძემ, რომელსაც განათლების სამინისტროს 1975 წლის 11 ივლისის № 518 ბრძანებით, როგორც საგნის სუსტად მცოდნე მასწავლებელს გამოცხადებული აქვს საყვედური, ისარგებლა რა ზემოაღნიშნული ფაქტის მოტივირებით, 26 იანვარს, თვითნებურად, თავის გაკვეთილებზე არ დაუშვა განათლების სამინისტროს წარმომადგენელი, რომელიც სკოლა-ინტერნატში მათემატიკის სწავლების მდგომარეობას ამოწმებდა.

ამრიგად, გლდანის № 1 სპორტული სკოლა-ინტერნატის მასწავლებლებმა ზ. ჭელიძემ და ჯ. თევდორაძემ სკოლის კედლებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანდასწრებით, ჩაიდინეს საბჭოთა პედაგოგისათვის შეუფერებელი საქციელი, რითაც შელახეს თავიანთი ღირსება და ავტორიტეტი კოლეგებისა და აღსაზრდელების თვალში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გლდანის № 1 სპორტული სკოლა-ინტერნატის მათემატიკის მასწავლებელს ზ. ჭელიძეს მასწავლებლის სიტყვიერი შეურაცხყოფისა და თვითნებობისათვის, რაც განათლების სამინისტროს წარმომადგენლის გაკვეთილებზე არ დაშვებაში გამოიხატა, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

2. გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის მწვრთნელს ჯ. თევდორაძეს უტაქტობისა და არაპედაგოგიური საქციელისათვის გამოეცხადოს საყვედური.

3. გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატის დირექციამ (დირექტორი ამხ. უ. თეთრაშვილი) გადაჭრით გააუმჯობესოს პედაგოგიურ კოლექტივში აღმზრდელობითი მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მათი იდეურ-პოლიტიკური დონის შემდგომი ამაღლების საქმეს, დასახოს ღონისძიებანი მასწავლებელთა და აღმზრდელთა შორის შრომითი დისციპლინის განმტკიცებისა და შრომისუნარიანი, მჭიდროდ შეკავშირებული პედაგოგიური კოლექტივის შესაქმნელად.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. ბრძანება № 1066—ადიგენის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, დმანისის, მარნეულის, თეთრიწყაროს, ხაშურისა და წალკის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელების შესახებ . . . 3

2. ბრძანება № 1074—მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების დარგში საქართველოს სსრ კანონის შესრულების მდგომარეობის შესახებ ლანჩხუთის, სიღნაღისა და ბოლნისის რაიონებში . . . 11

3. ბრძანება № 1075—მშობლიურ ლიტერატურაში მერვე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მეცხრე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ . . . 23

4. მეთოდური მითითებანი უცხოურ ენაში საკონტროლო წერითი ამუშაოების სახეებისა და რაოდენობის შესახებ . . . 32

5. ბრძანება № 21 (1976 წ.)—გეგეჭკორის, ქურთისა და ლენინგორის საბავშვო სახლებში სასწავლო-სააღმზრდელო და საქმიანობის შემოწმების შესახებ . . . 38

6. Приказ № 32—О мерах по дальнейшему улучшению преподавания русского языка в общеобразовательных школах республики . . . 42

7. ბრძანება № 42—გლდანის № 1 სპორტულ სკოლა-ინტერნატში მასწავლებელთა არაპედაგოგიური საქციელის შესახებ . . . 48

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე
ტექ. რედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/III-76 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა $3^{1}25$

შეკვ. № 226 უე—04064 ტირაჟი 5.000

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11.
უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11, Государственного комитета по делам издательств,
полиграфии и книжной торговли Совета Министров Грузинской ССР,
ул. Уш. Чхеидзе № 19